

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის, სოზარ სუბარის მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში მოქალაქეებთან გამართული შეხვედრების შესახებ ინფორმაცია დანართი #1-ის შესაბამისად

პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით					
I კვარტალი 2022	67 (აღნიშნულ პირებთან შეხვედრა მოხდა თითოეულთან ინდივიდუალურად)	მოსკოვის გამზირი N14, მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო.	დასაქმების საკითხები	გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის სამსახურებთან	ვაკანსიის არსებობისას კანდიდატის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისას რიგი მოქალაქეებისა დასაქმდა, რიგი ჩაირიცხა რეზერვში, ნაწილს ეთქვა უარი.
			მკურნალობის, მედიკამენტებით და სხვა სოციალური პრობლემების დაფინანსების საკითხები	ბიუროს ჩართულობით გაეწიათ დახმარება საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში, რის შემდეგაც შუამდგომლობა გაეწიათ, გამგეობის, მერიის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში.	შუამდგომლობის წერილები განხილულ იქნა შესაბამის კომისიებზე, ძირითადი ნაწილი დაკმაყოფილდა მოთხოვნის შესაბამისად.
			სახელმწიფოსგან დაუკმაყოფილებელი დევნილების გრძელვადიანი განსახლების პრობლემები	ბიუროს მხრიდან თითოეული ოჯახის საკითხი შესწავლილი იქნა დევნილთა სააგენტოს ჩართულობით.	თითოეულ ოჯახს მიეცა ამომწურავი ინფორმაცია დევნილთა სააგენტოში მოქმედი პროგრამების შესახებ
			ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების საკითხები	გადაიგზავნა შუამდგომლობის წერილები გამგეობაში, მერიის შესაბამის სამსახურებში, ასევე კომპანია ჯი ვი პი -ში და კომპანია "თელას"-ში	მოხდა ნაწილი პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარება, ხოლო ნაწილი საბიუჯეტო თანხებიდან გამომდინარე დაფინანსდება მომავალში.
			სოც. დაუცველის სტატუსის მარეგულირებელი სარეიტინგო ქულის ოდენობის პრობლემები	სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე მოქალაქეებს განემარტათ სარეიტინგო ქულის მინიჭების წესები. გარკვეულ შემთხვევებში გადაიგზავნა შუამდგომლობის წერილები შესაბამის სააგენტოში	სარეიტინგო ქულის მინიჭების ვადებიდან გამომდინარე მოხდა გარკვეული ოჯახების ხელახალი გადამოწმება სააგენტოს მიერ. ნაწილ შემთხვევებში გადამოწმება არ შემდგარა.
			სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროს სტატუსის მინიჭების საკითხი	გაიგზავნა შუამდგომლობები შესაბამის უწყებებში	კომისიების გადაწყვეტილებით ნაწილს მიენიჭა სტატუსი და აყვანილია აღრიცხვაზე. რიგი ოჯახების საკითხი გახილვის სტადიაშია გარკვეულ ნაწილს ეთქვა უარი შესაბამისი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო.

	საჯარო შეხვედრა	ვარკეთილი, ყოფილი 179-ე ბაგა-ბაღის შენობა	ბაგა-ბაღის ყოფილ შენობაში ამჟამად დევნილთა კომპაქტური ჩასახლებაა, საკითხი ეხებოდა მოცემულ შენობაში მცხოვრებ დევნილი ოჯახების გრძელვადიან განსახლებას	დევნილთა სააგენტოს დირექტორის და სააგენტოს შესაბამისი სამსახურების მიერ ადგილზე იქნა თითოეული ოჯახის საკითხის განხილვა ინდივიდუალურად, რის შემდეგაც განემარტათ სააგენტოს შესაბამისი პროგრამების შესახებ.
	საჯარო შეხვედრა	რქაწითელის 6	26 თებერვალს ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებთან შეხვედრა	გამგეობის ინიციატივით ოჯახები დაუყოვნებლივ გადაყვანილი იქნა ჯერ სასტუმროებში, შემდგომში კი ქირით. მერიის შესაბამისი პროექტის საფუძველზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.
	საჯარო შეხვედრა	ბერი გაბრიელ სალოლის 162- ის მიმდებარედ	ინფრასტრუქტურული პრობლემები	შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები განხილულ იქნა გამგეობასთან ერთად. პრიორიტეტად ჩაითვალა და დაიწყო ე.წ. 31- ე ქარხნის მიმდებარედ სკვერის მშენებლობა.
	საჯარო შეხვედრა	ორხევი	ინფრასტრუქტურული პრობლემები	შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები განხილული იქნა გამგეობასთან ერთად. პრიორიტეტად ჩაითვალა და დაიწყო ესენინისა და ბანეთაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია.
	საჯარო შეხვედრა	ვარკეთილის დასახლება	ინფრასტრუქტურული პრობლემები	შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები განხილული იქნა გამგეობასთან ერთად. პრიორიტეტად ჩაითვალა და დაიწყო გუდამაყრის ქუჩის რეაბილიტაცია.
	საჯარო შეხვერა	ვარკეთილი 3 პირველი მ/რნი	ინფრასტრუქტურული პრობლემები	შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები განხილული იქნა გამგეობასთან ერთად. პრიორიტეტად ჩაითვალა და დაიწყო N 105-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაცია.